საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა "მათემატიკა"
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა მოიცავს 240 **ECTS** კრედიტს და მისი განხორციელების ოპტიმალური ვადა არის 4 წელი. 240 კრედიტიდან 165 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო, 15 კრედიტი - არჩევით, ხოლო 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობის კომპონენტებს.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისადმი ინტერესი განპირობებულია იმ მზარდი მოთხოვნებით, რაც არსებობს მათემატიკური მეთოდების მიმართ, როგორც საბუნებისმეტყველო, სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების მხრიდან, ასევე პრაქტიკული საქმიანობის ყველა იმ სფეროდან, რომელიც მათემატიკურ მოდელირებას, ანალიტიკურ აზროვნებას და პროგნოზირებას მოითხოვს. პროგრამის მიზანია: • მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული განათლება მათემატიკის ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებში; • გამოუმუშაოს სტუდენტს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მათემატიკურ და არამათემატიკურ დარგებში წარმოქმნილი თეორიული ან/და პრაქტიკული ამოცანების გაგების, ანალიზის, შეფასებისა და გადაწყვეტისათვის; • უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე დამკვიდრებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. • უზრუნველყოს მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მქონე სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილება პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსების ან/და დამატებითი სპეციალობის საშუალებით. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შესაბამისად კურსდამთვრებულებს შეეძლებათ სწავლის გაგრძელება სწავლების შემდეგ საფეხურზე, როგორც მათემატიკის, ისე სხვა მიმართულებით, დასაქმება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეკონომიკურ, სოციალურ, სტატისტიკურ და სხვა ტიპის სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	1. მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებათა თეორიებისა და მეთოდების ცოდნა: • წრფივი ალგებრის, დიფერენციალური აღრიცხვისა და ტოპოლოგიის გამოყენებით ევკლიდურ და არაევკლიდურ სივრცეთა გეომეტრიული ობიექტების ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა; • დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საშუალებით ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა კვლევის, დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის და მათი გამოყენებით ალბათურ-სტატისტიკური მოდელის აგებისა და ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა; • რიცხვთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკისა და ძირითადი ალგებრული სტრუქტურების თეორიული საფუძვლებისა და კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა; • ფუნქციათა მიახლოების, წრფივი ალგებრის, რიცხვითი გაწარმოების და ინტეგრების, არაწრფივ განტოლებათა ამოხსნის ზოგიერთი რიცხვითი მეთოდის ფართო ცოდნა. **2.** მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია; **3.** სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა და პრეზენტაციისათვის საჭირო პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების ცოდნა; **4.** ელემენტარული მათემატიკის - ალგებრის, გეომეტრიის და ანალიზის საწყისების გაღრმავებული ცოდნა. **5.** აცნობიერებს მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე დარგების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობასა და მნიშვნელობას, როგორც მათემატიკურ, ისე არამათემატიკურ დარგებში. 6. შეუძლია ფორმალური მათემატიკური ცნებების და განსაზღვრებების შემოღება და მათი მეშვეობით მათემატიკური წინადადებების ჩამოყალიბება;

	7. მათემატიკის სხვადასხვა დარგის შესაბამისი სირთულის მათემატიკური წინადადებების ჩამოყალიბება და დამტკიცება; 8. შესაბამისი სირთულის ამოცანის დასმა, გააზრება, მათემატიკური მოდელის აგება და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მისი შესწავლა: • ალგებრის, დიფერენციალური აღრიცხვისა და ტოპოლოგიის მეთოდების გამოყენებით ევკლიდურ და არაევკლიდურ სივრცეთა გეომეტრიული ობიექტების შესწავლა; • გეომეტრიის აქსიომატიკური აგება; • დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის საშუალებით ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა გამოკვლევა; • დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნა და მათი გამოყენებით ალბათურ-სტატისტიკური მოდელის აგება და შესწავლა; • რიცვთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკისა და ალგებრის მეთოდების გამოყენება შესაბამისი სირთულის მათემატიკური და არამათემატიკური ამოცანების გადაწყვეტაში; • ფუნქციათა მიახლოების, წრფივი ალგებრის, რიცხვითი გაწარმოების და ინტეგრების, არაწრფივ განტოლებათა ამოხსნის ზოგიერთი რიცხვითი მეთოდის დაპროგრამება და გამოყენება; • პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების გამოყენებით შესაბამისი სირთულის მათემატიკური ამოცანის გადაწყვეტა; 9. მათემატიკური მეთოდების გამოყენებით შეუძლია კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებული მახასიათებელი მონაცემების გამოკვლევა და ანალიზი; 10. მსჯელობის წარმოება და მისგან გამომდინარე სწორი დასკვნების გაკეთება 11. შეუძლია მათემატიკური დებულებების ჩამოყალიბება და მკაცრი მათემტიკური მსჯელობა; 12. შესაბამისი სირთულის მათემატიკური ამოცანების და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი და ზეპირი ანგარიშის მომზადება და გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე; 13. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სფეროში არსებული ელექტრონული რესურსების მოძიება და გამოყენება. 14. მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებიდან მისთვის საჭირო და საინტერესო სფეროს განსაზღვრა, ცოდნის გაღრმავება და სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.
შეფასების წესი	**სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:** არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.დადებითი შეფასებებია: ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფითი შეფასებებია: ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი "ჩაიჭრა" შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ვლადიმერ ბალაძე ტელეფონი: (+99593) 36 96 09; (+995222) 7 94 15 ელ-ფოსტა: vbaladze@gmail.com